პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 73 კვირა, 7 ნოემბერი 1926 წ. № 73




ჩვენს საიმედო ხელში არის ცხოვრების ჩარხი;
მას ვერ მოგვტაცებს განდევნილი სხვისი ხიზანი...
იპყრობს ბუნებას ჩვენ მკლავით რკინა და არხი...
შორს, ცხრა მთის იქით ალარ არის ჩვენი მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პირიქით“

## რამდენი უბედურება მოიტანა ოქტომბრის რევოლიუციამ

ერთი ჭკვიანი და დარბაისელი კაცი ამბობდა, ამ ქვეყანაზე ნურავის და ნურაფერს შეაქებო. (თუმცა თვითონ დღედალამე მეფის ქებაში იყო და ეხლა ალბად ერთადაც არინ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ).

ასე თუ ისე ეს კაცი ნაწილობრივ მაინც მართალი იყო.

ნურაფერს შეაქებ, ეს ისეთი ლოზუნგია, რომელზედაც ბევრ იმედს დაკარგულს დაწყდება გული.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის ქებაშია, განსაკუთრებით გაზეთები, და თაფლი გადმოსდით პირიდან, სირცხვილი იქნება, რომ „ტარტაროზი“-ც უპასუხისმგებლოდ აყვეს მათ საერთო ხოტბას თავისი ხმაც შეუერთოს.

წაუკითხავად ვიცით, თუ რა ეწერება დღეს გაზეთებში. ვიცით როგორ და რაზედ იქნება იქ ლაპარაკი, ვიცით რა ციფრები, პროცენტები, შედარებები და სხვა ამგვარი მოსაწყენი რამეები იქნება იქ მოყვანილი, მაგრამ არავინ იცის, თუ რა იქნება დღეს „ტარტაროზში“, რა კარიკატურები იქნება მოყვანილი, ვინ იქნება გამოჭიმული და სხვა.

ჩვენი წერილის თემაა დღეს გავაშუქოთ არა ის ბედნიერებანი, რომელიც მოგვანიჭა ოქტომბრის რევოლიუციამ, არამედ გამოვამზეუროთ და გამოვჩხრიკოთ ყველა ის უბედურებანი და ბევრად თუ ცოტად სამწუხარო მოვლენები, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ ძალაუნებურად მოგვაჭრა თავს

პირველი და უდიდესი უბედურება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მოგვიტანა, ეს იყო თვით ოქტომბრის რევოლიუცია.

რა საჭირო იყო ეს მეორე რევოლიუცია, როდესაც პირველიც საკმარისი იყო.

ჩვენი ღრმა რწმენით ეს მხოლოდ თავმოყვარეობის საქმე იყო.

განვმარტავ მაგალითით:

სასადილოში თქვენი სახელი გატეხილი იქნება სამუდამოთ, თუ მარტო პირველით დაკმაყოფილდებით და მეორე არ მოითხოვეთ.

და აი ეს მეორე რევოლიუციაც ამგვარ თავმოყვარეობის საქმე იყო მხოლოდ და სხვა არაფერი.

შემდეგ დიდი უბედურება, რომელიც ამის შემდეგ დატრიალდა, ეს იყო „უჩრედილკას“ გარეკა.

ნაფიცი ორატორები ათასობით იდგენ რიგში ტრიბუნასთან, როდესაც ის ტრიბუნა გადააყირავეს, და რა გასაკვირი იყო, რომ ამის შემდეგ რევოლიუციის სახელი სამუდამოდ გატყდა ჩვენში.

თურმე რევოლიუცია აღმოჩნდა ის კედელზე მიმჯდარი ბუზი, რომელიც ლურსმნად მივიჩნიეთ და მამაპაპათაგან დატოვილი ლამფა გულმშვიდათ ჩამოვკიდეთ ზედ.

ერთადერთი ბედნიერება იყო კიდევ კოლჩაკის, დენიკინის და სხვათა რაზმები, მაგრამ საუბედუროდ ყოველი ბედნიერება წარმავალია და წუთიერი.

ამის შემდეგ, მორიგი დიდი უბედურება მენშევიკების თავიდან მოშორება იყო.

თავის დროზე მათი თვალი და ყური მუდამ ევროპისაკენ იყო, და თუ დღეს მათი ტანიც იქ არის, ისევ ამ უბედურებას უნდა უმადლოდენ.

ევროპის შემოვლა ბევრს ენატრება, და თუ ეს მოხდა იძულებით, რა უყოთ, სჩანს ასეთი იყო ბედი. ყველას თავის ადგილის მიუჩენს იგი.

ამტომ არის ნათქვამი:

ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო.

ყოველივე ამის შემდეგ სად უნდა ენახა პატიოსან ადამიანს თავშესაფარი თუ არა ერევნის მოედანზე და სპეკულიაციის ჭაობში ოდნავ მაინც მოეთქვა შეხუთული სული.

დღეები განვლილი ერივანკაზე, შეფარდებული იმ დროის გარემოებასთან და გამრავლებული საშუალო დღიურ ნაღღეტზე უნდა ჩაითვალოს ოდნავი გათენებით ჩვენს ჩამობნელებულ ცხოვრებაში მაშინ.

მაგრამ ამ გათენებას მალე უფრო უარესი ჩამოღამება მოყვა და თითქმის უკვე ამომავალ მზეს ჩერვონეცი ამოეფარა წინ და ისევ ჩამოაბნელა.

ეს იყო ისეთი უბედურება, რომლის მსგავსი არ ენახა არც ერთს ჩვენს მეგობარს და ნაცნობს.

სასაფლაოს დაემსგავსა ერივანკა და შემთხვევით გადარჩენილნი ღამის ლანდებით დავეხეტებოდით იქ, სანამ ბებიების, ნათლიების, ნათლულების და სხვათა დახმარებით ერთ- ერთ მსხვილ დაწესებულებაში არ ამოვყავით თავი.

რა თქმა უნდა იქ ხაფანგიც მზად იყო, მაგრამ ხაფანგი ხომ ამისათვისაა მოგონილი, რომ იქიდან უვნებლად დაძვრე და შემდეგ უფრო თბილ და ნაკლებ საშიშ ადგილზე მოკალათდე.

და თუ დღეს პორტფელით დავდივარ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამგე უპორტფელოდ იგივეა, რაც პოეტი უმუზოდ.

ამას წინად მოსკოვშიაც მიმავლინეს. რა ვუყოთ თუ ისეთ რამისათვის, რომელიც ტფილისშიაც თავსაყრელია. განა იმით უნდა დავკმაყოფლდეთ რაც გვაქვს. ჩვენი ლოზუნგია:—წინ, უკეთესისაკენ..

რაც ნიშნავს მოსკოვისაკენ.

ან და საზღვარგარედ, (უკან დაბრუნებით რა თქმა უნდა).

ყველაფერი კარგი, მაგრამ უბედურების სუნი მაინც დგას რაღაც:

მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ.

რუსთაველის პროსპექტზე ვერ გაგისეირნებია სალამოობით რომ ფეხსაცმელები არ გაისვარო და გაიმტვერო, ისე გადაათხარეს ტროტუარები.

უბედურებაა, სწორედ პაემანი ვერსად დაგინიშნავს.

ერთადერთი ბედნიერებაა ამ დროს შეხვიდე იქვე ერთ ნაცნობ შენობაში, მოუჯდე მაგიდას, ჩაჯდე ას ან ორას მანეთში და გაბრწყინებულ სახით წამოხვიდე შინ.

ამ დროს სრული ბედნიერი იქნებოდი, რომ კიდევ ახალი უბედურება არ გიღრღნიდეს გულს, რომლის კუდი ორთაჭალაში მარხია...

აი, მოქალაქენო, როგორც საკუთარის თვალით ხედავთ, სულ უბედურება და უბედურება, და ნუთუ ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიანთ თქვათ, რომ ის ბუზი კედელზე, რომელზედაც ასე გულუბრყვილოდ ლამფა ჩამოვკიდეთ, ლურსმანი იყო?..

თვალსაზრისით, რა თქმა უნდა...

სინემატო.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# „მეაგურე“




ჩვენ ძველსა ვანგრევთ... მის ნანგრევებზე ვაშენებთ ახლებს.
აგურს აგურზე-ვაწყობთ და ვაგებთ კოშკებს და სახლებს.



# აკოფას „პლატფორმა“

— იმანუმეს გეოჯან? კიდევ პრაზნიკი შვრებიან, თუო დევიატი გადავშჩინა მოგვსვლიაო, მთელ გოროდს უკრაშენია უშვრებიან, უპრავაზე და დვარეცზე ლიხტრიცკი ლუმინაციები აკეთებენ... ვა, მაშ მაგათ ხელში დავრჩით რაღა აკანჩატელნათ, ჩვენი იმედები და აჟიდანიები გაპუსტიაკდა და ჩვენი შემცოდებელი დედამიწაზე აღარ გაჩნდა!..

მახლაზ, ალბათ ყისმათი იყო რაღა, ჩვენი ბედის ყნილაში ეწერა თუ—აკოფჯან, დევიტსოცვოსემნაციტ გოდაში ქვეყანა გადაბრუნდესო და შენი და შენი ჰამქრის ხალხის მოგებულ იმენიაზე სხვებმა გაიხარონო, შენ კი ხმელი პური და წვანილიც გენატრებოდეს და ძველი დროის მოლოდინში გულის ქონი დაგადნესო!..

ახარ მოლოდინშიც რომ აღარაფერი ეყარა და! გულს ვირთობდით რაღა, ხანუმას ქორწილივით ავტეხდით ყვირილსა თუ—მოდიან, მოდიანო, ზირთიფირთი ვშვრებოდით და მოლა მასრადინასავით ჩვენც გვჯეროდა რომა ჰა, დღეს თუ ხვალ ნიკოლოზის დრო მოვიდოდა, ჩინსა და მენდალს ისევ გასავალი მიეცემოდა და ჩვენც პაჩოტნი ღრაჟდანინობას დავიბრუნებდით.

ბან ჩუნის?! ჩვენთვის თავი არავინ გაიცხელა და არავინ მოგვხედა, ეს ბემურაზები კი თანდათან უკრიპლენია შვრებოდნენ რაღა, ცხოვრებას თავის ყაიდაზე აპაჩინკებდნენ და პუპუზ! ბოლოს ისეთი ბეზუსტრაშნი გახდნენ რომა გაიძახიან თუ, მთელ ჰევროპიას ვზარვაიტი უნდა უყოთო, კაპიტალი უნდა ჩამოვაგდოთ და ზედ მუშა უნდა დავსვათო!

მოდი ახლა შენ და ვირი ტალახიდან ამოიყვანე, არა, კაი იონჯაც კი მოგვივა თუ, გრანიცაშიც ბალშევიცკი სტროი ქნეს რაღა, კაპიტალის სვერჟენია მოახდინეს! არა ამ ბემურაზებს იმ ჰევროპიისაგან რაღა უნდათ და, აქ რაც უქნიათ კიდევ ჰა, რაც წაუღიათ, თოლ წაიღონ, ჰალალი იყოს, იმ ხალხს რაღას ერჩიან, მაისვენონ რაღა!

იზამენ, ჩემა მზემ იზამენ! ნეპრემენათ იქაც პერევაროტი იზამენ. მერე რაღას იტყვი გეოჯან? რაო, შენ კიდევ იმედი გაქვს? კარქი ერთი ხელი აილე მამა გიცხონდება და, შენი იმედი დაბალ ოსეფას იმედსა ჰგავს რაღა, თავის ვირზე რქების ამოსვლას რო ელოდა!.. არ იცნობდი ოსეფას? აი, ყიყვიან ალებოს შვილი რო იყო რაღა, ქუკიაში სადაბალო ჰქონდა! ცოტა ჰოპოპებიანი კაცი იყო, ღმერთმა შეიწყალოს ამ მოგონებაზედა.

მე კი ატკრავენათ გებნები, ყველაფერზე ხელი ამიღია, ახალი ვეიანია მამსვლია და პირდაპირ პლატფორმაზე ვდგები... ვა, რას იცინი, ზიარების მადლმა, ჩემი სიყმის მზემ მართალს გებნები. ახარ ამის თაბაუთი არის რაღა, პრიჩინასაც გაგაგებინეფ.

როცა ნიკოლოზი ჩამოაგდეს და ქალაქში სლაბოდნი პარტიობა დაიწყო, მე ყველაფერი ჩოთქში ჩავაგდე, ვარაუდი გავწიე რაღა, ეს ქვეყანა ბაბილონსკი ბაშნია გახდა-მეთქი, ახარ ვინ იცის ახრიზამანში რომელი პარტია აჯობებს და მეც საქმეს ისე დავიჭერ, რომ ყველა პარტიაში ფეხი მედგას მეთქი. შაფათ ღამეს, ჩემი ოჯახის ექსტრენი ზასედანია გავმართე და ყველანი ისე გავანაწილე, რომა სახლში ყველა პარტია მქონდა: მე დაშნაკცაკანი გავხდი, ჩემი უფროსი ბიჭი—გარეგინა ჩრეზმერნი მენშევიკი გავხადე, პატარა ბიჭსაც უთხარი თუ, შენ ჯერ პატარა ხარ-მეთქი ჰამა, ამხანაგებში ხმები დააგდე რომა ვითომ ბალშევიკის პარტია მოგწონს... ამ ჩემმა ცოლმა სათენიკამაც აიხირი თუ მე რაღა თქვენზე ნაკლები ვარო, მეც ქალების დამცველ პარტიაში უნდა შავიდეო. ვებნები—დედაკაცო, ახარ შენც კი ნუ აცუნცრუკდები, შენ რაღა დამცველი გინდა, მე აქ არა ვარ მეთქი?—ჩვენ რო პარტიებში შავდივართ აქ სხვა თაბაუთია, სხვა რაშჩოტია მეთქი. არ დამიჯერა და იმანაც აბშესტვენი დეიტელნიცობა დაიწყო.

საქმე ამით დაიწყო, ჰამა, შენს მტერსა და დუშმანს გეოჯან, რაც ჩემ ოჯახში ამბავი დატრიალდა: ჩვენ სახლში სადილის, ან ზაკუსკის დროს შამოგეხედნა, პირდაპირ ბურნი ზასედანია გეგონებოდა, ყველანი ერთმანეთს დაერეოდნენ ხოლმე და უმტკიცებდნენ, რომა არა ჩემი პარტიის პრაგრამა სჯობია და არა ჩემიო. ბოლოს სუფრა კრივზე გადადიოდა და ჭურჭლის მტვრევით თავდებოდა. გებნები რაღა, სამი დუჟინი კუზნეცოვის სერვეზი დამტვრეულა ჩემ სახლში პალიტიჩესკი ბრძოლის გამოისობითა.

პირველათ მე ხუმრობა მეგონა ჰამა, ეს ბემურაზი ბიჭები მართლა საციალისტები არ გახდნენ!.. ასობენათ ეს ლაწირაკი იოვანე, რაღა—ჩემი პატარა ბიჭი, ნამდვილი ბალშევიკის კომსომოლი გამხდარა და პირდაპირ გვიკლებდა რაღა,—იმის შიშით სახლში ველარ შავდიოდი: შენ ბურჟუაზია ხარო, პალიტიჩესკი სპეკულიაციას ეწევიო, ნიკოლოზის სულსა ლოცულობო, დღეს თუ ხვალ ჩვენ გავიმარჯვებთ და მაგ ლიპსა სულ მეტეხში დაგიდნობთო, მუშების სისხლით გასივდიო, ერთი სიტყვით, ოჯახი გადამირია რაღა, პრიკაშიკებში ჩოთი ჩამიგდო, ყველანი ამიჯანყა და მტრათ გადამეკიდა.

ბოლოს სახლიდანაც წავიდა, თუო მე შევიგენ რომა ყველა პატიოსანი ახალგაზრდა, მუშა ხალხის ხარეს უნდა იყოს და შენს სახლში ჩემი ფეხი მძიმეთ იყოსო. იმტოლი იჩალიშა, რომ ჯერ ციხეში იძვრინა და ბოლოს საქართველოს გრანციდან ვისილკაც გაუკეთეს. იქიდან ჩემ პატარა გოგოს წერილი გამოუგზავნა, რომა ეხლა ერესეფესერი ვარო და მალე გაიმარჯვებს მუშათა ხალხიო,—მემუქრებოდა რაღა!..

უფროსი ბიჭი გარეგინა კი მილიციის უჩასკაში ნაჩალნიკათ დააყენეს და ჩემი კოჭიც ალჩუს დაჯდა: ვაჭრობა ისევ გავაჩაღე, კაზიონი რამეები სხვადასხვა ორდერებით გამოჰქონდა, ვყიდიდით და ალხეინათ შამოგვდიოდა დახოტები.

მაგრამ დიდი ხნით არ დამცალდა დოირანი, მალე ისევ ჩიჩმაკები აირია და პერევაროტი ქნეს. ჩემი გარეგინა მენშევიკებთან გაიქცა, დუქანში მთელი შეშვიდი რეკვიზიცია უყვეს და ბოლოს სახლებიც და მაღაზიაც ჩამამართვეს.

ჩემი ბემურაზი ბიჭი ჩამოვიდა ჰამა, ერთი ბეწო ჯიგარი აღარ გამაიჩინა, ახლოც არ მიმიკარა, არაფერში—დახმარება არ გამიწია, ასმა შენ სტარი ზაკალი ხარო, მენშევიკი ხარო, სპეკულიანტი ხარო, ათასი ჯანდაბა და დოზანა გამამიგონა.

ვებნები:—ჰერნანიწაწ, ხომ იცი, რომა მე მარტო სარფისთვის ვშვრებოდი, შვლი არა ხარ, ამაგი არ გახსომს რაზე მლუპამ მეთქი: თუ ჩემი მშობელი სახალხო საქმეაო, რევოლიუციას სარფა არა სწამსო, შენთან სვიაზები დიდი ხანია გავწყვიტეო... იმას მერე მე ხეირი ველარ ვნახე, ლუკმა გემრიელათ ველარ შევჭამე, ვაჭრობის ჰუნარი დავკარგე და აკანჩატელნათ გავიქუცე.

აქეთ იქიდან მებნებოდნენ: აკოფჯან, გაუძელ, მაგათი კანეცი მოსულია, ჰაა, საცაა გრანიცა გვიშველისო. მაგათ როგორ შეუძლიანთ გასუდარსტვენი საქმეები გააკეთონ, ყველაფერს დანგრევენ და მერე ანგლიას და ფრანციას ეტყვიან თუ ბალი-აღა, გემორჩილებითო. ბევრი, ბევრი ექვსი თვე გსძლონო... მეც იმედი მქონდა რაღა, ჰამაც ჩემი ჰემიგრანტი შვილი იქიდან მანუგეშებდა, თუ დღედღეზე მოვდივართო...

საქმეში ხარ... ექვსი თვე გავიდა, ექვსი წელიწადი შესრულდა, მეშვიდე დადგა და პუპუზ ეხლა ცხრა წლის პრაზნიკსა შვრებიან!.. თანაც ამბობენ თუ მეორე მეცხრე წელიწადი რომ მოვა, მაშინ უკვდავებაც გვექნებაო,—ოზდუხში სახლები უნდა ავაშენოთო, ეს არაატის ვერშინა უნდა ავილოთო და იალბუზზე უნდა დავდოთო, მტკვარის ქვეშ ბატანიცკი ბაღი უნდა გავაშენოთო, მზეს ისემე უნდა უქნათო და მთელი ქვეყანა სულ ლიხტრიცკებით უნდა გავანათოთო, ურმებში კამეჩების მაგივრათ ავტომაბილები უნდა შავაბათო, ტრახტინები უნდა დავკეტოთ და ზაოტები უნდა გავაკეთოთო, ბებრებსა და ჯეჰელებს წერა-კითხვა უნდა ვასწავლოთო და ისეთი აბრაზვანია უნდა მივცეთ, რომა ფრანციცულს სულ მამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა წლის არის ასეთია, — გაიზრდება
რა იქნება?!
მისი ძალით და უნარით ეს ქვეყანა
გარდიქმნება.



ოჩვენოსავით კითხულობდნენო; ერთის სიტყვით რას იტყვის ადამიანის ენა, რომ მაგათ არ აპირობდნენ იმის გაკეთებას.

ვა, მართალია, ქრისტეს მადლმა, ჩემი სიყმის მზემ ნეპრემენი სიმართლეა. ერთი ყური უგდე, ქრისტიანული თვალით გადახედე რაღა, დაინახე მაგათი ნაქნარები და ყველაფერს დაიჯერებ!... ვა, ვა, ვა... ჩემა მზემ მაგათი დუშმანი ვიყავი ჰამა ატკრავენათ გებნები, მთელი ქვეყნის სპასენია მაგათ შესძლებიათ, მაგათი შნო და ჰუნარი, მაგათი მარიფათი, მაგათი რაზმახები არა რომ მართლა დიდი ყოფილა! არა რამტოლი რამეები გააკეთეს და! ეგ ბემურაზები სულ ინჟინრები და პროფესორები ყოფილან რაღა, აქამდის ოქრომჭედლების ქუჩაზე ორი სუქანი კაცი ერთათ ვერ გაივლიდა: მუცლებს ერთმანეთს დააჯახბდენ, ეხლა კი სატივოს მოედანი გეგონება: მთელი უბნის სახლები ისე გადაალაგეს, გეგონება ლოტოს კოჭები იყოსო, ეს ახალი ზდანიებიო, ეს ზაგესიო—ეს რამეო, ვინ მოსთვლის!..

ახარ მეც დაუფიქრდი რაღა, რაზუმენია ვქენი, ყველაფერი ჩოთქში ჩავაგდე და სულ სხვა უბეჟდენიაზე დავდექი: რის იმედი, რის მოლოდინი!... იმედი რომ იყოს, გრანიციდან აქ გამოიქცეოდენ? (ყურში გებნები, ამ დღეებში ჩემი ემიგრანტი ბიჭისაგან წერილი მაქვს, თუთ რაზლაჟენია მამივიდა და მაინთ მოვდივართ!)

ერთისიტყვით, მე პლატფორმაზე ვდგები—მორჩა გათავდა, ჩემი სიყმის მზემ გინდ დაიჯერე გინდ არა, პლატფორმაზე ვდგები, თუ მიმიღეს!..

პრაშენია უნდა გაუგზავნო ბალშევიკებს რომა პლატფორმაზე ვდგები და ჩემი ჩასტნი სობსტვენია დამიბრუნეთ მეთქი!.. ჭკვიანურათ არ ვიქცევი გეოჯან? რაო? გაიცინებენ და პანლურსა გკრამენო? ინჩეს ასუმ ქემატახ?—ახარ გულს ნუ მიხეთქამ და!..

ფარსადან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 წლის თავი

**გეურქა.** დღეს 9 წელიწადი შესრულდა რაც რომ საბჭოთა პარტიატკები დადგა ძველ რუსეთში. მახსოვს პირველი დღეები. ყველას იმედი ჰქონდა რომ საბჭოთა თავრობა როგორც ნაადრეულათ დაბადებული ბავშვი დღეგრძელი არ იქნებოდა. მაგრამ უყურეფ როგორი ციცირის კვერცხივით კირკიტი გამოდგა?

**საქულა.** მაშ, გეურქჯან! მე სულ იმას გეუბნებოდი, რომ ეს საბჭოთა ვლასტი როგორც ზაჰესის კედლები, ისე მაგარია მეთქი; რაც გინდა მაგრათ მოაწვეს კონტრევოლუციამ, მაინც აიტანს. ამ ვლასტ იმიტომ ეძახიან მუშათა და გლეხთა მთავრობას. მუშა ძველებური გამომწვარი აგურია, გლეხიც მაგარი კირია, ორივე ერთათ კი წარმოადგენენ ისეთ დაუშლელ ქვიტკირს, რომ ვერც ერთი წერაქვი მას ვერას დააკლებს რას.

**გეურქა.** მემრე რით უნდა აიხსნას ამნაირი მოვლენა, საქულჯან? ჟორდანიას მთავრობას მთელი საქართველო თითს უწევდა, მაგრამ ისე დაიშალა, როგორც სათამაშო ქაღალდების ხუხულა.

**საქულა.** მემრე რა არის გასაკვირველი? ჟორდანიას მთავრობას საძირკველი თავიდანვე გაბზარული ჰქონდა. თაფლიან თითს ვაჭარსაც ალოკებდა, თავად-მემამულესაც გლეხსაცა და მუშასაც. ბოლშევიკები კი უფრო ჭკვიანათ მოიქცნენ. იფიქრეს, რაც გინდა რომ ყოჩაღი ვიყვნეთ, ერთი ხელით ოთხ საზამთროს ვერ დავიჭერთო. ვლასტი უნდა მუშებისა იყოსო, მხოლოთ ეს მუშები კი გლეხებთან იქნებიან შეკავშირებულიო და მის გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენო. თქვეს და აასრულეს კიდეც.

**გეურქა.** მემრე რა დიდი სარგებლობაც ამ ვლასტმა მოუტანა მუშებს? ჩვენ წაგვართვეს რაც რომ გვებადა და თითონაც ტიტველ-შიშვლები დადიან.

**საქულა.** მაგას რათ იძახი, გეურქალა! მუშების მდგომარეობა ძალიან წინ წავიდა. დვარეცებში ეგენი სხედან ავათ გახდებიან, უკეთესი დოხტურები მაგათ არჩნენ, დაჩა-კურორტებზე ეგენი მიდიან, სამეტაჟიან სახლებში ცხოვრობენ, მაგით შვილებს ტეხნიკუმ-უნივერსიტეტში პირველ რიგში იღებენ, წინათ 12 საათს მუშაობდნენ, ეხლა კი დღეში 6-8 საათზედ მეტს არ ამუშავებენ. რომელი ერთი უნდა გითხრა, გეურქჯან? ეხლა მაგით ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. დღეს შეიძლება კიდევ ბევრი რამე აკლდეთ, მაგრამ რაც რომ ახალი კეთდება და შენდება სულ მაგით ხელში ვარდება. უსტა გეურქ! ვლასტი ხელში უჭირამთ და თავიანთ მტრებს სულ ჩუპარ-პაპარ ახტუნავებენ-რასაც მოიწადინებენ იმას აასრულებენ.

**გეურქა.** სწორე გითხრა, საქულჯან, მე დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს მირჩევნია.

**საქულა.** საქმეც იმაშია, რომ დღეს კვერცხის პატრონები ისინი არიან და ხვალინდელ ქათამიც იმ კვერცხიდან უნდა გამოიჩეკოს. იძახი: შიშველ-ტიტველი დადიანო? რასაკვირველია, რაც დარჩათ და რასაც ეხლა აკეთებენ, ამას ეგენი დღესვე არა სჭამენ. ეგენი ძველებურ ვაჭრებივით ეხლა ყაირბთიანათ იქცევიან—შემოსავალს ზოგსა, ეხლა იყენებენ, ნაწილით კი თავიანთ თანხას აძლიერებენ.

**გეურქა.** ამ ბოლოს რაღაცა ოპოზიცია რომ გამოჩნდა, სწორე გითხრა, სიქულ, მე მეგონა, ვა, რაღაცა შტუკა მოხდება მეთქი, მაგრამ მაგით კოჭი სულ ალჩუთ ჯდება რაღა.

**საქულა.** აი, თქვენ ვაჭრებსა გასაყოფი და სულ როგორც ყასაფხანის ძაღლები ერთ ძვალზე ისე სჩხუბობდით ერთმანეთში. მუშებს კი საჩხუბარი არაფერი არა აქვთ ერთმანეთში. ბევრს გააკეთებენ, ბევრს შეჭამენ, ნაკლებს გააკეთებენ ნაკლები ერგებათ. თქვენ შორის კონკურენცია არის, იმათ შორის სოლიდარობა, როგორც იძახის ჩემი კონცომოლისტი დისწული.

**გეურქა.** აბა დღეს ძალიან ატჩოტები იქნება გამოჭიმული გაზეთ ჟურნალებში. ეს ფლანი საქმე გავაკეთეთ და ეს ფსტანი. გეურქ, ჩვენში კი დარჩეს და ამ ბალშევიკებმა ცოტა ტრაბახი კი იციან აი! ხანდისხან წყილს დააორსულებენ და აქლემს აშობინებენ.

**საქულა.** ბიჭო, არც მაგაში ხარ მართალი. ტრაბახობა აბა მენშევიკებმა იცოდნენ აი! ინგლისელებმა ორი ორი დუჟინი ჯორები ჩამოიყვანეს საქართველოში და მენშევიკების მთავრობამ რადიოთ მთელ ქვეყანას აცნობა რომ ანგლია დიდ დახმარებას გვიწევსო. ბალშევიკებთან ომის დროს სამი-ოთხი ტყვე წამოიყვანეს ჯუღელის გვარდიელებმა და მთელი ქვეყანა მოფინეს რომ ბოლშევიკების ჯარები დავამარცხეთ და დღეს-ხვალ ბაქოსაც ავიღებთო. (ალბათ ინგლისელ ჯორებში მენშევიკები ბაქოს ნავთს დაჰპირდნენ). ბალშევიკებმა კი ბევრი რამ გააკეთეს ამ ცხრა წელიწადში. არა, ძმაო, თუ რომ ამნაირათ განაგრძობენ მუშაობას, მაგათ ეშმაკების ხელმწიფეც ვერაფერს ვერ დააკლებს. რა გეთქმის, გეურქჯან! მაგით წისქვილი დღეს კარგათა ფქვამს და ხვალ უფრო უკეთ დაფქვამს.

**გეურქა.** ნეტავ ვიცოდე რას ფიქრობენ ან აკეთებენ ზაგრანიცაში გაქცეული მენშევიკები?

**საქულა.** რა უნდა იფიქრონ, გეურქჯან? განა თავში ტვინილა დარჩენიათ რომ საქმეზე იფიქრონ? აქ მთელი საქართველო ხელში ეჭირათ, პოლკი-პოლკებზე მოაწყვეს, გვარდია გვარდიაზე და მაშინაც ძაბრის ქუდიანების შიშით შავ ზღვაში ჩაცვივდნენ და ეხლა რა უნდა გააკეთონ. მეთაურები სხედან და ლაქიებივით უცქერიან თვალებში ზაგრანიჩნი ბურჟუებს „ნაჩაის“ მოლოდინში, მუშა მენშევიკები დაბრუნდნენ თავიანთ მუშურ სამშობლოში და დანარჩენები კი ყოფილი ვაჭრები, ოფიცრები და ჩინოვნიკები იმის მოლოდინში არიან,—იქნება შეგვიშვან საქართველოშიო.

**გეურქა.** მაშ რაც დრო გადის იმდენი უმაგრდება საძირკველი ამ საბჭოთა ვლასტს რაღა?

**საქულა.** გეურქჯან, ეს სუყველაფერი ცხოვრების მოვლენაა: ყველაფერს ფერი ეცვლება—ღვდელი და ტერტერა ზაქსათ გადაიქცნენ, დალაქი პარიკმახერათ, მჭედელი სლესრათ, ხარაზი საპოჟნიკათ, დერციკი პარტნოვათ და გუშინდელი მონები და დაჩაგრულები დღეს ქვეყნის ბატონ-პატრონებათ გახდნენ. დღეს ცხრა წელი შესრულდა, რაც რომ ახალი ცხოვრების ნამყენები დარგეს ბალშევიკებმა. როგორც მტკვრის სვლას დიდი ხნით ვერ გააჩერებ, ისეც ახალ ცხოვრებას. გინდა, გეურქჯან, ამ 9 წლის თავზე სამჯერ ცალი ცხვირი მოგივიდეს, მაინც ბალშევიკების საქმე ხეირია, ხეირი!

ვინმე.

ეროვნული

# ინტერვიუ

ოქტომბრის დღესასწაული, რომ სასიყვარულო და სასიხარულო მოვლენაა— ეს ყოველმა ორატორმა და რეგისტრატორმა იცის. მკითხველ საზოგადოებას, ალბათ აინტერესებს ყველას კონკრეტიული აზრი ამ დღესასწაულის სუბსტანციის და ძალთა კოორდინაციის აპერცეფციაში დისტანციის ინტუიტიური და ატავისტური ინტეგრაცა ანუ ძალთა დიფერენციაციას და პაუპერიზაციის [illegible] ქრონენების კატეგორიებით გარემოცულ... (გაგრძელება იხილე კ. კაპანელის ახალ წიგნში).

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში უმუშევარმა, **რომანოზ ქინქლაძემ** ოქტომბრის დღესასწაულის მნიშვნელობაზე განაცხადა შემდეგი:

მესამე წელიწადია უმუშევრათ ვარ და ჩემს ცხოვრებაში მხოლოთ დიდი დღესასწაულები სტოვებენ შთაბეჭდილებას. ამ დღეებში მე დავდივარ ნაცნობებში და მაგრათ ვძღები.

თქვენ მეკითხებით: რათ არ იშოვნით სამსახურსო—აი რაშია საქმე: ერთ დაწესებულებაში დავდიოდი სამსახურის საშოვნელათ 8 თვე. ჩემი შესასვლელი გზა გადიოდა სალაროს ახლო შეკუიოლი თუ არა, ყველას მოწიწებით ვესალმებოდი და დაბლა თავს ვხრიდი. მოლარემ იმდენი უცქირა ჩემს გამოხეულ შარვალს, რომ ...საწყალი 8 თვის შემდეგ დაბრუციანდა და ამ ნიადაგზე ანგარიშში დააკლდა კარგა მოზრდილი თანხა. ეხლა ეს კაცი თითონაა ჩაკეტილი ფულების მაგიერ. ამას წინეთ სახ. კომიუსტში კრება იყო გამოცხადებული. კრებაზე ყველგან დავდივარ—იქნება კაი ნაცნობობა შევიძინოთქო; მივედი აქაც, დავჯექი გუგულივით და ერთი პირი რომ გამოვიძინე, ვიღაც უდიერმა კაცმა გამაღვიძა. შეკითხვები თუ ვინმეს გაქვთო,—გამოაცხადა თავმჯდომარემ და მეც ვიკითხე: რა და რა დამნაშავეებზე ვრცელდება ახალი ამნისტია რო გამოვა?

ვერ გავიგე კარგი ამბავი—დაბრუციანებული მოლარე რჩება ციხეში.

### დაპირების შესახებ

საზოგადოთ დაპირების შესახებ **ყაფლანა ყიიცამ** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სთქვა:

— მე როგორც მუსიკოსმა ამას წინეთ დავიწყე ოპერის წერა, მაგრამ ეხლა უკვე აღარ ვუჩქარი მის დამთავრებას, რადგანაც ოპერა რომ დადგან კიდეც წელს, ხალხი აღარ დაესწრება. ასე რომ ჩემი ოპერის დამთავრება გადადებული მაქვს შემდეგისათვის. ამას მეორე მიზეზიცა აქვს. შევეჩვიე სიტყვა „გადადებას". თბილისის აღმასკომმა **გადასდო,**—სასამართლომ საქმე **გადასდო,**—კრება **გადაიდო,**—ხიდის ასაგებათ... **გადასდო, გადასდო** და **გადაიდო**—ამას ვკითხულობთ ქრონიკაში ყოველდღე.

არა, ერთი მითხარით—მე რატომ უნდა შევასრულო ჩემი დაპირება, როდესაც... თბილისის აღმასკომს, რომ უნდა დაეწყო ვორონცოვსა და ვერის ხიდების შეერთება სანაპირო ქუჩით დაიწყო? საბინაო ტარიფი რომ უნდა გამოემუშავებიათ, საბოლოოთ, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ტარიფი აღარ შეიცვლება? კონდრაბანდას ვებრძვითო—განა ყველას კონდრაბანდა არ აცვია?!

### ვისახარებს დღესასწაული

ასეთი დიდი დღესასწაული, როგორიც დღესაა, სხვადასხვანაირად ახარებს მცხოვრებთა სხვადასხვა ფენებს.

ამის შესახებ უგროზისკში პატიმრებმა ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი:

— ჩვენ აქ თავი მოგვიყარეს საწყალ ქურდებს, ოთახების გატეხის სპეცებს, გამფლანგველებს და სხვა ჩვენ ძმებს. პირადათ მე ერთი ობოლი ბიჭი ვიყავი. შევედი ერთ ბინაზე, როცა ქ არავინ იყო; მივიხედ-მოვიხედე და რა დაინახა ჩემმა თვალებმა... ვერაფერი· გაქცევისას ოთახში დამრჩა სხვისი ბარგის გასაკრავი თოკი და მეორე დღეს აქ ამომაყოფიეს თავი. თქვენ, უფალო თანამშრომელო, გრძნობთ რომ აქ მე სრულებით უდანაშაულო ვარ და არაფერი არ მომიპარავს. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ოთახი გასაქირავებელი ყოფილა და დიასახლისი ქალი 400 მანეთს თხოულობდა „ოტსტუპნოს". მე ვამტკიცებ, რომ ჩემზე უფრო დამნაშავეა ის დიასახლისი და ის, ვინც ის ოთახი არ იქირავა და იქ არაფერი დამახვედრა.

დღესასწაული ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა. იქნებ ამნისტია გამოსცენ და გამანთავისუფლონ. თუ შემდეგ კიდევ დამრჩეს თოკი... ბიჭი არ ვიყო. D ton

## რადიო მამალი



— საკვირველია, რომ ჩვენი გამგე აღარ იგვიანებს სამსახურში!

— არაფერიც არაა საკვირველი; მან ამ დღეებში სოფელს რადიო შეუერთა და დილაობით მამლები აღვიძებენ მას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ხანა

ძველმა დროებამ წაიღო
თავისი ხალხი ქრთამებით.
მისხლების ნაცვლად სასწორზე
ეხლა აწყვია გრამები
და რუსთაველის თეატრშიც
მიდის ახალი დრამები.
არშინმაც კუბო გაზომა
ძველ ადათის და წესისა;
მეტრი ჰარალეს იძახის,
ვერშოკი მწარედ კვნესისა—
დღეიდან ჟამი იწყება
ახალი თესლის თესვისა.
გეო ტირის და ქვითინებს,
ახჩიკაც იგლეჯს კავებსა,
ცრემლებით მისჩერებიან
დუქნის გვალვიან ღარებსა
და კოოპერატივებისა
ხალხით გატენილ კარებსა.
ქარხანა მოსდევს ქარხანას
თავის წესით და რიგითა,
მუშები ძიისწრაფიან
ტკბილ სიმღერებით იქითა—
აღდეგრძელებენ საბჭოებს
შრომით აღსავსე ჰიქითა.
ზაჰესიც საქართველოსა
გულში მზედ გაუბრწყინდება,
ნისლი თუ ჯანღი დარდების
თვალს ცრემლად მოეწმინდება
და სამოთხეში სიცოცხლე
არავის მოეწყინდება?!

კიკოლა.



# ცხრა სახარება

— ცხრა სახარება გაგიწყრეს კორპუზ, ცხრა სახარებამ!

— მითომ გეოსაც არ გაგწყრომია რაღა!

— გამიწყრა რომელია, კაცო! განა მარტო ცხრა? მეათემაც დაიწყო გაწყრომა; დღეს მეათე წელიწადი იწყება რაღა რაც ეს ჩვენი ძმები აქა ბრძანდებიან. ვაჰ, რა დრო დაგვიდგა, რა დრო! გახსოვს კარპუზჯან, სოფელში რო წავიდოდი დამალული ქონების სანახავად, ასე მეგონა ბოლშევიკებს ვეღარ ჩაუსწრობ ქალაქში მეთქი, ისეთ ქორებს გავიგებდი ხოლმე. ეს ჩვენი საქოც შემხვდება და მეტყვის:—გეოჯან, ნუ გეშინიან, გაზაფხულამდე ან ვირი მოკვდება, ან მისი პატრონიო. მაგრამ ვხედამ გაზაფხულიც გალის, ზაფხულიც, ზამთარიც და ეს ჩვენი პატრონები ბოლშევიკები კი არიან და არიან.—ეს ოხერი რო აღარც ჩვენა ვკვდებით!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლა ვატყობ: დიდი უბიტკა უყავით ჩვენ თავს, რომ პირველშივე არ მივიღეთ ამათი რჯული. მეუბნებიან:—მაინც კარგი დღე არ დაგადგებოდაო, არ მოგნათლავდნენ თავიანთ რჯულზეო... რათა? იმათა, რომ დუქანი გაქვს, სახლი გაქვს, კარი გაქვს და ვაჭრებში ფეხი გაქვს... მაგრამ მოხერხება უნდა მოხერხება! აი ჩვენი პეტრუზა, სულ ბირჟაში სწერია; როცა უნდა მიხვიდე, ოჩერედში დგა. ვეკითხები:—რა გინდა, კაცო, აქ?.. ბეზრაბოტნი ვარო. მეცინება და ყურში ვეზნები:—კაცო, მეც ხომ შენი რჯულისი კაცი ვარ, რას მატყუებ მეთქი,—და ისიც ყურში მებნება:—ამათ ეკლესიაში დავდივარ, ამათ ხატებს ვატარებ, ამათ ღმერთს ვლოცულობ და ჩემ საქმეს ვაკეთებო... მედაჩემმა ღმერთმა რაზუმნი კაცია! ვებნები: ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ყოველდღე სიარული რაღაა მეთქი და მებნება:— ის არი, რომ ყოველდღე ზაკონები იცვლება: დღეს ამ ფანჯარაში, ხვალ იმ ფანჯარაში, ზეგ ზევით ფანჯარაში, მაზეგ ისევ ქვევით ფანჯარაში, ფუტბოლნი მიაჩიკივით დახტის რაღა! ხანდახან იმსიშორედ გადახტება, რომ კვალს ძლივს ვიპოვნი ხოლმე, ხომ იცი, ნათქვამია:—შენ საქმეს სულ უკან უნდა სდიოო. მეც მივდევ რაღა! თვალს არ ვაშორებ. აქ ბეზრაბოტნათ ვითვლები, იქ ჩემი შვილები ჩუმად ვაჭრობენ, მეც ჩუმად ვეხმარები და ასე ვჭამ წუთისოფელსაო. მემრე როდემდის პეტრუზჯან? როდემდის და იქამდის, სანამ ჩვენი მამალი დაიყივლებსო. მერე როდის დაიყივლებს, კაცო? კარგია, მამაგიცხონდათ! მეყოფა ტვინის ამდენი იზნასილოვანია მეთქი.

ხეირი არ არი მეთქი თქვენში, და ის კიდევ მებნება: რაზუმნად უნდა მოიქცე რაზუმნადო. ამაზე მეტი რაზუმნობა გინდა? ლამის ექვსი წელიწადია უძლებ! კიდევ ექვსი უნდა გაუძლოვო! ესეც ნალოგია? მაგრამ იცი რა გითხრა, ძმაოჯან! მე მართალს გეტყვი: ჩვენ ძველ დროში ძალიან ბევრი საგრეშენიები ვქენით, პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩავცვივდით—მორჩა და გათავდა! აღარაფერი არა გვეშველება-რა! ტვინი გალავა კროშკა!

ფეშანგი ფაშვბერტყაძე.

# ყოფილი



დღეს ცხოვრების გზას აცისკროვნებს ელექტრო შუქი.
მე მომავლისა სიბრწყინვალეს ვერ ვუჭერ თვალებს,
ყოველდღე გამაქვს ეს ბაზარზე, მაგრამ ამაოდ;
აწ ვისღას უნდა ჩემი ლამფა ნავთით, ფიტილით!..
არავის უნდა... არც კი მკითხეს რას ვაფასებდი.
ისევ იქნებ თუ გამომადგეს რამეში კვლავ მე?!

გამომადგება, უეჭველად გამომადგება.
სიცოცხლის დღენი დათვლილია ხელის თითებზე.
ვიცი: სამოთხე არ მომელის არც იმ ქვეყანას;
ჩემი გზა არის უეჭველად ჯოჯოხეთისკენ.
გზას გავინათებ მე ამ ლამფით, როცა იქ წავალ...
აი ამ ლამფის ერთათერთი დანიშნულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უდანაშაულო“

(სასამართლოს არქივიდან)

— ბატონო მოსამართლენო!—ასე დაიწყო თავისი სიტყვა პეტრე ტიკარაძემ—დავალებული მაქვს ჩემი ამხანაგების: პავლე ხვიტიას და ქაიხოსრო სოსლანის სახელითაც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა იმ ბრალდების შესახებ, რაც ჩვენს წინააღხდეგაა წამოყენებული და, რამაც დღეს აქ მოგვიყვანა; მე ვარ 27 წლის, გურული, სოფელ კვაჭალათიდან; პავლე ხვიტია 26 წლისაა, მეგრელი, სოფელ ლეწურწუმედან, ხოლო ქაიხოსრო სოსლანი ოსია ცხინვალიდან 25 წლის. ჩვენ თავს არც დამნაშავეთ ვცნობთ და არც ვიმართლებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უპარტიონი ვართ და როგორც ასეთნი—პასუხისმგებლობისაგან საერთოთ ცოტაოდნათ თავისუფალი ვართ; არც ჩაგვიდენია საიმისო დანაშაული, რომ ამდენი დრო და ხალხი გავაცდინოთ ამ საქმეზე. ამხანაგო მოსამართლენო! ჩვენ ერთმანეთი დავინახეთ ამ წლინახევრის იქით, ხოლო გავიცანით ორი თვის წინეთ; შეხვედრაცა და გაცნობაც მოხდა ბირჟის დერეფანში, სამსახურის შოვნის მოლოდინში. მაშინ ერთმანეთს შორიდან ვათვალიერებდით და, თურმე, ერთი მეორის შესახებ ერთნაირათ ვფიქრობდით, რაც ამ ორი თვის წინეთ გამოირკვა—როცა ერთმანეთს გული გადავუშალეთ და იმ საერთო გეგმის შემუშავებას შევუდექით, რის შესრულებამაც ამ საბრალდებულო სკამზე დაგვსვა სამი სხვა და სხვა კუთხიდან ქალაქში გადმოხვეწილი და სრულიათ უდანაშაულო ახალგაზრდა. ჩვენ ჩავეწერეთ ბირჟაში, როგორც კავშირის წევრები და უმუშევარნი; ყოველდღე დავდიოდით სამუშაოს მიღებისათვის, მაგრამ ჩვენს ოჩერედს ბოლო არ უჩანდა. პირველ თვეებში ჩვენ სამივენი [illegible]-მეორეს იჭვის თვალით შევსცქეროდით: მე ესენი და ამათ კიდევ მე—ხან ჯიბგირები გვეგონა და ხან კიდევ ჩეკის თანამშრომელი! მოდი და ნუ დაიჭვიანდები: ერთი თვე ლოდინი, ორი, ხუთი, ერთი წელიწადი... ყოველდღე დავდივართ, ვყლაპავთ მტვერს, ვილანძღებით და მივდივართ; თვალი გვაქვს, სმენა და ცოდაოდენი გონებაც, ჩვენი ლოდინის განმავლობაში, ბევრი ჩვენს მერმე მოსული გაიგზავნა სამუშაოთ და სამსახურში, ზოგი რეგისტრაციაში გატარებით ე. ი. რიგით და ამდენივე ურეგისტრაციოთ ე. ი. ურიგოთ ე. ი. შემდეგი რეგისტრაციის წესით.

ტელეფონი კარგი რამაა, კერძო ბარათიც; და ჩვენში იტყვიან, ამხანაგო მსაჯულებო, „ქალს ძაღლის არ დაუყეფსო“ და ეს სამი საშუალება: ტელეფონი, კერძო ბარათი და ბანოვანი ადგილის შოვნისათვის უებარი რამ ყოფილა. ჰო და პრაქტიკული გამოცდილებით მოგახსენებთ ამას, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

ასე და ამნაირათ ამხანაგებო, არსებულმა პირობებმა და ჩვენმა პირადმა მდგომარეობამ მოამზადა ჩვენი შეგნება, დაგვაახლოვა ერთმანეთს და როცა ერთამანეთი კარგათ გავიცანით—გავიგეთ, რომ ერთნაირათ თურმე ვაზროვნებთ და ერთნაირათ ვიწვით ბირჟის კედლებში; შევკარით სამთა კავშირი; რადგან ჩვენ არც ისეთი ვინმე გვყავს, ვისაც ძაღლი არ დაჰყეფს და არც ნაცნობობა, საჭიროა გადავდგათ კანონის საწინააღმდეგო არალეგალური ნაბიჯი, ვინაიდან, თურმე, ჩვენზე დიდი კაცები ნახევრათ ლეგალურათ არღვევენ არსებულ კანონს ე. ი. გვერდს უვლიან მას.

გავინაწილეთ შრომა: პავლე ხვიტიას უნდა მოეპარა ბირჟის ბეჭედ დაკრული ბლანკები, მე შემედგინა მიწერილობა ერთ-ერთ დაწესებულების სახელზე ჩვენი სამსახურში მიღების შესახებ, ხოლო ქაიხოსრო სოსლანი ტელეფონით დაელაპარაკებოდა ბირჟის გამგის სახელით დაწესებულების უფროსს ჩვენს შესახებ. ასეც მოვიქეცით და ადგილიც მივიღეთ—სამივენი სიმშილით სიკვდილს გადავრჩით. ჩვენ ავყევით, ამხანაგებო, საერთო ფერხულს, რის შესახებ უკვე მოგახსენეთ. ვიმეორებ, საერთო პირობებმა გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით. ახლა სიტყვა თქვენზეა. გინდ გაგვამართლეთ—გინდ გაგვამტყუნეთ. ჩვენ კი ვთხოულობთ: თუ ჩვენ საქმეს შედეგათ ჩვენი სამუშაოდან მოხსნა და დატუსაღება მოჰყვა, დატუსაღება ნუ იქნება პირობითი, რადგან გამსახლში უფასო ბინა და საჭმელი მაინც გვექნება.

როკაპი.

## „შემცირებული“



იმისი ფანარი უკუღმა ჰკიდია
და ნაცვლად ანათებს ელექტრო დიდია.
მივიდა მეფარნე... ამას არ ელოდა:
მახლობლად, ვით უწინ, ეხლა არ ბნელოდა.

# „ვირთხების შემოსევა“




რადიო ცნობა. ს. ძირულა. ს. ძირულას და მის ახლოს მდებარე საწყობებს შემოერია ვირთხები, რომლებმაც ერთი შეხედვის შემდეგ დაამარცხეს მოსამსახურეები და აიღეს სადგური. ვირთხებმა გაზიდეს საწყობიდან მთელი საქონელი და ეხლა შეუდგენ ადამიანების შეჭმას. ჯერ ჯერობით შეჭამეს ბებერი დარაჯი გრიგოლი. ხმები დადის, რომ სადგურის უფროსი არ უწევს წინაალმდეგობას, რადგან ვიართხებმა მას შეჭმით დაემუქრესო.

მინქლიო.

# „ხულიგანი“

ორ ბოთლ ღვინოს გუშინ ღამით
უქენი ყლაპუნი;
გამოველ და შუა ქუჩაში
დავიწყე ბლაყუნი.

ეოს კოპწიას გვერდი წავკარ,
მერმე უქენ განი:
მან იყვირა; „მილიციელ,
შეჰკარ ხულიგანი“.

მე გავიქეც. მანც შეწყვიტა.
მილიციის ხმობა;
უკვე მივხვდი. გვერდის გაკვრა
არის ხულიგნობა.

კინოს ახლოს დადიოდნენ
ლამაზები წყვილად.
„რაზრეშიტე სვამი პაიდუ“
მე ვუთხარი ტკბილად.

— შტო ტი სვოლოჩ უნას პრისტალ?
სკაჟი ჩტო ვამ ნადა...
ისე შევკრთი შიშისაგან
დამეკარგა მადა.

მე თეატრში შესვლა მსურდა, —
და ამიტომ რიგში
ბილეთისთვის მე ჩავდექი...
მე შევცურდი ფიქრში.

— ნუ ხულიგნობ აქ, ყმაწვილო—
მესმა, ხმა მწყრომარე,
მიყვიროდა გულმოსული
შიგნიდგან მოლარე.

ფიქრში გართულს ბილეთისთვის
არ მიმეცა ფული,
მან მიწოდა ხულიგანი,
მოუვიდა გული.

და შევედი მე დარბაზში,
სადაც იყო ბნელა,
და იქ სკამზე ჩამოვჯექი
მორიდებით ნელა.

„ეს რა ხულიგნობა არის!
მიყვიროდა ვიხმე,
თურმე ჩემდაუნებურად
ჩავდგომოდი წინ მე.

უკაცრავად, მაპატიეთ—
და გამოველ გარედ.
რადგან იგი გალახვითა
დამემუქრა მწარედ.

ქუჩაში რომ გამოვედი,
წვიმას ნელა ცრიდა;
მეც გავშალე ჩემი ქოლგა,
რადგან ყველა შლიდა,

ერთი ქალი მოდიოდა
ელენე თუ ოლღა...
შევთავაზე: რომ სველდებით
ინებეთ ეს ქოლგა.

მომიბრუნდა, შემომბღვირა,
მითხრა: შენ უმგვანო!
სადაც ჯერ არს იქ გაგგზავნი,
ო, შენ ხულიგანო.

პრასტი მადამ პაჟალუსტა—
ვუთხარ ტკბილი ენით,
შიშისაგან წამოვედი
მე იქიდან რბენით.

ბნელბნელ ქუჩით მივდიოოი
სახლისაკენ ჩქარა,
ვფიქრობდი რომ მე ამაღამ
რაც რომ მლანძღეს კმარა.

—- არ გაგიშვებ? დავიყვირებ—
ხმა მესმა მე ყურში,
— ალბად ვინმე ვისმეს სტანჯავს—
გავიფიქრე გულში

— არა, არა, ვერ გაგიშვებ,
ჩემო მტრედო თინა,
წამომყევი, აქავე მაქვს
მე სახლი და ბინა.

— კოტე, მე ვერ წამოგყვები,
დამანებე თავი—
შევჩერდი, მსურს მოვისმინო
რაა ეს ამბავი.

უცებ კოტე დაეტაკა
თინას როგორც მხეცი,
ვთქვი რომ თინას შველა უნდა
და მე კოტეს ვეცი.

მოგვეხმარეთ, მოგვეშველეთ,—
შეიძახეს ერთად.
და ორივე მე მომვარდა,
ძალზე გასაბეთქად.

ხულიგანი დავიჭირეთ—
იძახოდა თინა.
კოტე ამბობს: ამან გუშინღამ
გამიქურდა ბინა...

მაპატია და გამიშვა
ისევ ბნელი ქუჩით.
თვითონ კოტეს შეადუღდა
ანთებული ტუჩით.

ბლაყუნა.



—მოსკოვში მთელი კოსტიუმის, პალტოს, ფეხთსა-
ცმელის და ქუდის ყიდვა შეგიძლია 10—12 მანეთად.
—ეს ტყუილია, არასოდეს არ დავიჯერებ!
—შეიძლება ტყუილიც იყოს, მაგრამ ხომ იაფია?

# ოკრიბა

## ეპისკოპოზ დ. კაჭახიძის სარევიზიო მოგზაურობა ოკრიბაში და მისი შედეგები

დავითმა გადინადირა
ოკრიბა მთა და ბარათა.
ჩამოიარა სოფლები,
მივიდა კარის კარათა.
წინ მიეგება ხუცები,
მნათე და დიაკვნებია,
დაუკლეს ინდაურები,
ქათმები, ცხვრები, თხებია.
შესტირეს:—რა ვქნათ, მამაო!
აღარ გვაქვს სმა და ჭამაო.
სარწმუნოება დღეს ჩვენთვის
შეიქნა ფუჭი, ამაო!
არ ეკარება გლეხები
წირვას და ეკლესიასო;
ოთხ-ოთხი მორწმუნენი გვყავს,
აგერ გიჩვენებთ სიასო...
რას ხედავს დავით?... ოთხ ბებერს...
ჩაწერილია სიაში...
შეწირულება კაპიკიც
არ არის ეკლესიაში.
დაფიქრდა:-ოკრიბელები
მაინც რამ გადარიაო!?
რომ ღმერთი ვიყო, ოკრიბას
დავანგრევ რია-რიაო!
ნახა დავითმა არ არის
ცხენი და არცა ეტლია;
(ავტომობილზე ხომ იცით
აქ ლაპარაკი მეტია).

ჩაჯდა დარყეულ ურემში,
მიარიკრიკებს ხარები...
კვირა დღე არის; ჭკუაზე
კინაღამ შეცთა ქალები.

მოსდევენ უკან და უკვირთ:
—ნუ თუ ეს არის მართალი!
თუ ეპისკოპოზს არ ესმის
რჯული და ან სამართალი,

ჩვენ რაღას ჩაქვცივებია
ხუცები გასაწყვეტიო!
ეპისკოპოზი უქმეს სტეხს—
რა გინდა ახლა მეტიო!?

აწი რომ მღვდლები ვიწამოთ,
ვიქნებით ჩერჩეტებიო,
და აბესალომ ღირსია,
რომ შეუთხელოთ ყბებიო.

რას დაჩერჩეტობს კარისკარ,
რა მღვლების სიმინდს ხვეტავსო?!
ბოიკოტით რომ გვაშინებს,
ის ამას როგორ ბედავსო?!

ჭოლოკი.

# ქუთაისი

„უპატენტო“ სტუდენტებით
კვლავ გაივსო ბაღი.
ტარტაროზჯან, კვლავ დამჭირდა
შენი იარაღი.

—

ბაღში ალბათ ალმასკომი
დაუმატებს სკამებს...
აბა ფეხზედ დგომით იმათ
ხომ არ გააწამებს?!

—

ან და ღამით პაემანი
რომ არ ჩაიშალოს,—
„პოსტზედ“ დამჯდარ მილიციელს
ძილი დაევალოს.

—

ეხლა კიდევ არა უშავთ—
ძვლებია გამთბარი...
ვის მიმართონ მაშინ, როცა
დადგება ზამთარი?!

—

მაგრამ ვფიქრობ—ტარტაროზი
მათ დაეხმარება,
რათა ოდნავ შეანელოს
მათი მწუხარება.

ტყიბულელი „ხვლიკი“.

# ხელს უშლის



ოჰ, ეს ზაჭესი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ტ უ მ რ ა თ

ვცხოვრობ ქალაქის გარე უბანში ერთ პატარა სახლში ანუ ქოხში. ვარ უნივერსიტეტში სტუდენტად. ჩემს პატარა ქოხში არ არის ბევრი ავეჯეულობა, მაგრამ რაც არის ისიც საკმარისია. კუთხეში მძდგია ერთი ველი ტახტი. ჩემდა საუბედუროთ ფეხმომტვრეულია და ფეხის როლს თამაშობს მაგიდის უჯრა. ერთი დანჯღრეული მაგიდა და ორი ტაბურეტკა. ლოგინათ მაქვს: ერთი ბალიში, ერთი საბანი, რომელიც ისეა დახეული, რომ, როდესაც დილით ვიღვიძებ ისე ვარ საბანში გახლართული, როგორც თევზი ბადეში. მიუხედავად ამისა ბედს მაინც არ ვემდუროდი, ჩემი—სტოლზე ქალიშვილები, როგორც პატივსაცემი პიროვნებანი,—ტახტზე. მე კი უადგილობის გამო მოვთავსდი ტახტის ქვეშ, წავიფარე დახეული პალტო და მივეცი ძილს თავი.

უხერხულათ ვგრძნობდი თავს ტახტის ქვეშ. ცალკე რწყილები და ბაღლინჯოები მაწუხებდა და ცალკე მტვერი. სწორეთ ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც თავს დამატყდა უბედურება: ტახტმა ველარ გაუძლო ამდენ სიმძიმის დაწოლას, შუაზე გატყდა და თავზე დამეცა. წამოვარდი და ვირთხასავით გამოვძვერი ქვეშიდან. ქალი-



კმაყოფილი ვიყავი ჩემი ხვედრის (ბარემც არ ვიყავი კმაყოფილი, მაგრამ რას ვიზამდი?)

ერთ დღეს, როდესაც უნივერსიტეტიდან დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი, სახლში დამიხვდენ სტუმრები: დედ-მამა და ორი ნათესავი ქალიშვილი.

დაღამდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცოდი—სად მომეთავსებია ამდენი ხალხი. საგონებელში ჩავარდი და ვწყევლიდი ჩემ გაჩენას. როგორც იქნა, ვჭამეთ ვახშამი და დავიწყეთ ფიქრის საწოლზე. დიდი ფიქრისა და წვალების შემდეგ, ასე დავწექით: მამაჩემი მოვათავსე ორ ტაბურეტკაზე, დედა-შვილებიც წამოცვივდნენ ზეზე, ხოლო დედაჩემი და მამაჩემი ისევ განაგრძობდენ ძილს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ყოფაში იქნებიან ბევრი ჩემი ამხანაგები. ამ ჩემთვის სამარცხვინო წერილის მოთავსება „ტარტაროზში“ არ მინდოდა, მაგრამ ჩემი სირცხვილი არაფრად ჩავაგდე და სხვების საკეთილდღეოდ გამოვაქვეყნე. დეე, იცოდენ სტუდენტების მშობლებმა და ნათესავებმა სოფლად, რომ ბინა არა გვაქვთ,—და ამიტომაც ნუ შეგვაწუხებენ მათი სტუმრობით. თუ რამეს გამოგვიგზავნიან, სხვას გამოატანონ; თვითონ კი ნუ ჩამოდიან.

**წი(ნ)და.**

## ს. საყუდისთავი

ამ სოფელს ეპატრონება
მასწავლებელი ვასოა,
მინდა ამ პაწა წერილით
საკმაოდ შევაფასოა.

ინტრიგა, შური და მტრობა
მისი ხელობა გამხდარა;
სოფელი სოფელს წაჰკიდა,
თვითონ კი გვერდზე დამდგარა.

ყომკავშირს ებლაუჭება,
(იქვიც არვის აქვს იმაში),—
მაგრამ ღმერთების სურათი
გამოკრული აქვს ბინაში.

ის თვითონ პროკურორია,
ვექილი და თან მსაჯული;
ვერვინ უბედავს სიტყვის თქმას—
გლეხები მისგან ტანჯული.

ახალ მთვარეზე ერთ კუთხეს
ემხრობა, უგებს სკოლასა,
მაგრამ რა მთვარე იცვლება—
მისდევს სამსონს და კოლასა.

ორი ხის სკოლა დაინგრა
ორივე მისი გმირობით;
სამი წელია კრებებიც
კი მართა კვირა-კვირობით.

დადის და გვერდით დაყვება,
მისი გაზრდილი მურია;
ამნაირ მასწავლებელით
ნეტა რა ს იზამს გურია?!)

მას გვერდში უდგას სამსონი
ის ერთი კუთხის ვექილი,
ინტრიგანი და ცბიერი
„საქმეში“ გამოქექილი.

ტარტაროზ, შენი მორჩილი
გთხოვთ მხოლოდ მარტო ამასა:
რადგან შენ მიჩვეული ხარ
ყველა ოხრების ჭამასა—

მოდი და პირი ჩაიტკბე
ამ მონაძლევენი ხილითა,
ზოგი ჩანგალით მიმრთვი,
ზოგი აკუწე კბილითა,

**ბლიკვი.**

# „შეითვისა“

რის ვაი-ვაგლახით გავათავე ცხრაწლედი და ავიღე „შეითვისა“ ატესტატი. ბევრი გვაშინა გამგემ, თუ კოლლოკვიუმებში ჩაიჭრებით, „მოისმინა“ მოწმობას მოგცემთ და აღარსად აღარ მიგიღებენო, მაგრამ... წლის ბოლოს ყველას „შეითვისა“ მოგვარტყეს და გაგვიშვეს.

წინდაწინ ვიცოდი, რომ გამოცდებს ვერ ჩავაბარებდი. ასეც მოხდა.

გავაშვანშვალე წერილი და გავუგზავნე მამას. ვსწერდი!

„მამა-ჩემო! უნივერსიტეტში გამოცდები კარგად ჩავაბარე. პროფესორებმა მითხრეს: კარგი მცოდნე ყოფილხარ და უნივერსიტეტისთვის აღარ გაგაცდენთო“—მაშინვე მამცეს „ზემლემერობა“.*) თვეში ჯერ-ჯერობით ხუთ თუმანს ვღებულობ. ერთი თვის მერე მამიმატებენ. მარა ჯერ არ იძლევიან ჯამაგირს და ამიტომ ოცი მანეთი გამომიგზავნე. მერე მე ვიცი.

შენი კოსტა.

ორ დღეში მომივიდა პასუხი:

„შვილო კოსტა! კაი დაგემართოს, კაი საქმე შენ მოგსვლია. ახლა შვილო, აქეთ „მერჯევანია“ მოდის და ეცადე შენ წამოყვე, რაკიღა „ზემლევერა“-თ ხარ, პაწია მიწას მამიზომამ. მაგ ხუთ თუმნიდან ნახევარი მე გამომიზავნე. ხუთი მანათი ბინის ქირა მიეცი. ხუთი მეპურესდანარჩენი ხუთმეტი მანათიდან, ერთი საჩოხე შალი იყიდე და გამოგზავნე. რაც დაგრჩეს, შენ მეიხმარე შვილო; ახალგაზრდა კაცი ხარ“.

შენი მამა ალფეზი.

ქვევით დედაჩემს გაეჭრელებია:

„ჩემო შვილო! შენ შემოგევლოს დედა-შენი. ერი რამდენიმე მანათი გამუაძვრე მაგ ხუთ თუმანს და ერთი საკაბე ჩითი მიყიდე. ასე, დაგენაცვლოს დედა-შენი“.

ამას წინათ გავიგე, რაღაც აღწერა არისო და იქ იღებენ სამსახურში ახალგაზრდებსო. დავტრიალდი. ამხანაგმა მითხრა:—პარასკევს მისაღები ანკეტები უნდა შევავსოთ; დიდი „ოჩერედი“ იქნება და ადრე წავიდეთო.

ფეოდოსის ქუჩაზე ვცხოვრობ. პარასკევს დილას ჩამოვედი რუსთაველზე დროს გასაგებათ. შევხედე ფოსტის საათს. ექვსის ნახევარია.—ჯერ რა დროსია—ვიფიქრე და დავბრუნდი ისევ სახლში. გავიდა კარგა ხანი და ჩამოვედი ისევ რუსთაველზე. შევხედე საათს. ჯერ ვერაფერი ვერ გავიგე; მზე აშუქებდა და ორივე ისარს ჩრდილი გაეყენებინა ციფერბლატზე. ასე რომ საათზე ოთხი ისარი იყო. უტრიალე ხან აქიდან, ხან იქიდან. ქვეშიდანაც შევხედე. ფეხიც არ მოუცვლია. ისევ ექვსის ნახევარია.

ახლა კი შემოვიკარი თავში ხელი; დავკარი ქუჩას დაგლეჯილი ბოტინკები და თავისუფლების მოედანზე ავედი, შევხედე საათს: ცხრის ოცია გასული. ჩემი ცოდვა მიეცეს ფოსტის საათს!..

მთელი განოვის ქუჩის სიგრძეზეა გაყოლებული რიგი. ჯერ წინ ვცადე შეძრომა, მარა კინწიხკვრით გამომაგდეს. მერე ავყევი და ლერმონტოვის ქუჩაზე მოვები კუდს.

რომ მომწყინდა დგომა, ჩაუყევი ქუჩას და ერთ ადგილას შევძვერი შეუმჩნევლად. მივიხედ-მოვიხედე, ახლოს ვარ კარებთან. გავიდა ხანი. გაიღო კარები... იგრიალა ამ ხალხმა და შეცვინდენ.

— აბა, კოსტა! ახლა გამოიჩინე შენი ნიჭი! სირბილში ხომ სპეცი ვარ...

პატარა კარიდორში შეჯგუფდა ხალხი და მე შიგ შუაში მოვყევი... მოვისვი თავზე ხელი. ქუდი სადღაა?!. ქუდი რომ მოვნახო, რიგს დავკარგავ, ისევ ქუდის დაკარგვა ვამჯობინე.

გავიდა ორი საათი.

გამოვიდა ვიღაც და განაცხადა, ანკეტები აღარ არის და გთხოვთ სახლში მიბრძანდეთო. ვაი შენს კოსტას! არ შეგჭამათ მიწამ, ხალხი ყურს არ იბერტყავს. რამდენჯერმე გამოაცხადეს; განცხადებაც გამოაკრეს, ერთიც არ წავიდა.

ბოლოს დავიშალენით.

ქუჩაში ყველა მიყურებს და იცინიან.

— მიკვირს რა უნდა მქონდეს სასაცილო. ალბად ქუდი რომ არ მხურავს! პოეტი თუ ვგონივარ ყველას. მაგრამ უქუდო ბევრი დადის ჩემს გარდა... რატომ იმათზე არ იცინიან?

სიცილის მიზეზს მაშინ მივხვდი, როცა სახლში მივედი და ხალათი გავისწორე. ჩემი საწყალი ხალათი კისრიდან დაწყებული ბოლომდი დაფხრეწილა და დახეული პერანგი გამოიყურება გარეთ.

ერთი კარგი აზრი მამივიდა: პოეტობა უნდა დავიწყო. მისი მამა ვაცხონე, ვიღაცას უთქვამს: ძდგომარეობა ქმნის შეგნებასო.

ქუდი მაინც არ მაქვს. თმა ბერივით მაქვს მოშვებული (გასაპარსი ფული არ მაქვს). რითი არ ვარ პოეტი?

ჩემისთანა უსაქმო თხილამურიც არ არის. რუსთაველის პროსპექტი სულ გამოთვლილი მაქვს რამდენი ნაბიჯია.

მოდი და ნუ გახდები პოეტი!..

საშა.

*) ეს-კი ტყუილი არ იყო, ქუჩის მზომელი ჩემისთანა სხვა არ იქნება.



—ეხლა შენი შვილი სად იმყოფება?

—რა ვიცი, რა! ამ თხუთმეტი წლის წინად პეტერბურგში იყო; მერე სადღაც პეტროგრადიდან მწერდა; ეხლა ლენინგრადში მსახურობს.

—ბედნიერი დედა ყოფილხარ: შენ შვილს მთელი რუსეთი უნახავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა




### მოუმატეთ

ღანირ-ქუტირიდან გალინგი გვწერს სამკითხველოს გამგეზე:

**სამკითხველოს დაკეტს და...**
**გასაღები ჯიბეში.**
**კვირაში ორი-სამი დღე**
**ჩვენს ივანეს შაბაში.**

კვირაში ორი-სამი დღე შაბაში ცოტაა... და ამიტომ ტარტაროზი შუამდგომლობს რათა ივანეს კვირაში შვიდი დღე შაბაში მიეცეს.

### დაგნეული ჩერვონეცი.



**აი ეს ჩერვონეცია ათეისტმა გაუგზავნა** სოფელში დედას. ეს ორი თვის წინეთ. ფული ჯერ კიდევ არ მისულა თავის ადგილზე. მიზეზი გამოურკვეველია. თვითონ ათეისტს რომ დავუჯეროთ, საფოსტო განყოფილების ბრალია, რადგან დედამისი თურმე ასე სწერდა შვილს:

**არ გამოგზავნო, იცოდე,**
**სოფელში ფოსტით ფულია...**
**დაიგვიანებს ორ-სამ თვეს,**
**ცდაში წამივა გულია.**

ურწმუნო კაცია **ათეისტი.** ეჭვი შეუვიდა დედის სიტყვებში და თვითონ მივიდა ფოსტის განყოფილებაში:

**მე გამგესთან შევირბინე**
**რომ გამეგო შინაარსი.**
**ტარტაროზო, შეიხედე**
**იქ ხალხი ზის მეტად თარსი.**

ჩვენ აღარ ვიცით თუ ვინ არის დამნაშავე, რომ ეს ჩორვონეცი ჯერ კიდევ არ მიუღია სოფელში მოხუც ქალს? იქნებ თვითონ ჩერვონეცია დამნაშავე? მას არ უნდა, იქნებ, დაიხარჯოს და ფოსტის განყოფილებებში იმალება ამდენ ხანს?.. შეიძლება ეს ასეც იყოს, რადგან იგი უმუშევარს ეკუთვნოდა.

### ანდაზის გამართლება

არის ახდაზა: **უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო.** აი ეს ანდაზა სავსებით გამართლებულია სვირში. მკითხველს ალბად კიდეც გაუკვირდა, თუ როგორ მოხდა, რომ ჩვენში ძაღლების ნაკლულოვანებაა. სოფლად კი არა, ტფილისშიც შეუძლებელია ქუჩებში უშიშრად გავლა ისე გამრავლდენ ავი ძაღლები. (მეტადრე განაპირა უბნებში), მაგრამ მაინც ასე ითქმის, რადგან, როგორც სოფელ ზემო - სიმონეთელი **ჩხარისპირელი** გვატყობინებს იქ მოლარედ ყოფილა კოჩაია, რომელმაც

**ანგარიში ხულ არ იცის,**
**ჩოთქი ჯერ არ უნახავს...**

ჰო-და თუ კი ასეა, რატომაც არ გამართლებულა ანდაზა: **უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო!..** და მერე ვინ აყეფებს იცით?.. გამგე...(ალბად გამგეზედაც ითქმის ეს ანდაზა).

### ფოთელი ვექილი

ეს ამბავი მოხდა ფოთის სამამართლოში, სადაც მეზღვაურების საქმე ირჩეოდა, და ამბავი კი ასეთია, როგორც ჟითუ გვატყობინებს:

**ხალხი იყო უამრავი,**
**გაიმართა დიდი დავა.**
**ყველას აინტერესებდა**
**მათი საქმე როგორ წავა.**

მაგრამ საქმე ისე წასულა, რომ გადასულა დამცველ ვექილებზე.

**დარჩენ შიგნით ორი გმირი,**
**დატრიალდენ წარამარა.**
**კირტას ბედმა უღალატა—**
**შეასკუპდა საბახტარა.**

მაგრამ კირტაძე აქ თუ დამარცხდა, სამაგიეროდ სხვაგან არის კაი ბიჭი.

**ხალხის ცემას და წამებას**
**ის უწოდებს ფიზკულტურას.**

აი, განათლებული ვექილიც ამას ჰქვია. კაცს ფიზკულტურა თავისებურად ესმის.

### ესეც ვნახეთ...

თქვენ ალბად ყველას გინახავთ, როცა ქათამი გარბის... მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთხელაც არ გინახავთ, როცა



**შემწვარი, მრგვალი დედლები**
**პირისკენ მიიხარიან.**
**გამგე და მისი მოლარე**
**ორივე იქა არიან.**

აი, სასწაული ამას ჰქვია. ეჭვი არავის შეგეპაროთ, რომ ჩვენ ამას ვსტყუოდეთ... და თუ ვინმეს ეჭვი გეპარებათ, ჩვენ დაგისახელებთ ავტორსაც, ადგილსაც და სხვა რამესაც. ეს ამბავი მოხდა წყალტუბოში, სადაც არის კოოპერეტივი, რომელშიაც ნოქრად არის ერისტო და გამგეთ კი... მაგრამ რა საჭიროა დასახელება...

თუ მაინცა და მაინც გაინტერესებთ, ჰკითხეთ ამ წერილის ავტორს: **„რა ვქნათ“?** რას ფიქრობთ? აქ ბევრი არ არის საფიქრებელი და სრულიად ზედმეტია თავისთვის ასეთი საკითხის დასმა: **რა ვქნათ?** რა უნდა ჰქნათ-და კოოპერატივი განსწმინდეთ ქათმების მოყვარულებისაგან.



# ეპიზოდი

არ იცოდა ცხენის ფასი
რა დროს იყო ის ქვირფასი...
ეხლა მიხვდა: კარგი ცხენი ომში არის ყველაფერი,—
რადგან მარდათ გაიქცევი როცა მოგდევს უკან მტერი.



შიშისაგან ვერც გაიგო როგორ მოხდა ყველა ესა;
მიწაზე რომ ბრაგვანი ჰქნა სიმწრისაგან დაიკვნესა.
ეხლა მიხვდა რომ ვილაცამ მას აჭამა სილა-ტკაცი.
თვით ძირს ეგდო, მის ცხენზე კი შემჯდარიყო
ჯარის-კაცი.

